



ეგზ. N 1

„ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ვაჟა ზრაგვაძე

„--01-“---11-- 2016 წელი

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატი

2014-2015 წლებში

განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N62/36

სარჩევი

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
ზოგადი მიმოხილვა	5
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები.....	6
1. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზები	6
1-1. ბაზრის კვლევებთან დაკავშირებული შენიშვნები	8
2. კომპიუტერული მოწყობილობებისა და აქსესუარების შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერებში გამოვლენილი ხარვეზები	9
3. ავეჯის შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერებში გამოვლენილი ხარვეზები.....	12
4. სატრანსპორტო საშუალებებისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერებში გამოვლენილი ხარვეზები	13
5. ტანსაცმლის/სპეცტანსაცმლის, ფეხსაცმლის და საბარგო ნივთების შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერებში გამოვლენილი ხარვეზები	16
6. ცხოველის საკვების შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერში გამოვლენილი ხარვეზები	20
7. სხვადასხვა საკვები პროდუქტის შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერში გამოვლენილი ხარვეზები.....	22
8. გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გაფორმებული ხელშეკრულებები	22
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	26
9. ბიუჯეტში გადასახდელი საურავები	26
10. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის #422 განკარგულებით დაწესებული შეზღუდვების შეუსრულებლობა.....	26
11. უცხოურ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები	27

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

აუდიტის მასშტაბი და მიზანი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის მიერ 2014 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს:

- შესყიდვების პროცედურების კანონთან შესაბამისობას;
- სახელშეკრულებო პირობების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს;
- სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობას.

აუდიტის მიზანია ზემოაღნიშნული საკითხების შემოწმება მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

დაწესებულების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია აუდიტორებისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშესაბამიანობები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება დაწესებულების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4100) შესაბამისად, რომელიც მოიცავს აღნიშნულ საკითხზე შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან განცალკევებით.

აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, რომ დაწესებულების ზემოთ ხსენებული საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული მოსაზრების გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებულ გარემოებასთან. მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები კი, საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო რწმუნების მისაღებად.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“, რომელიც გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სასაზღვრო პოლიცია არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო საზღვრისა და საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის დაცვას.

დაწესებულება კომპეტენციის ფარგლებში, თავისი ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად, სასაზღვრო საქმიანობას ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის, ოპერატიულ-საგამომიებო ორგანოების, სასაზღვრო პოლიციის სამმართველოებისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი ქვედანაყოფების (სულ 72 ქვედანაყოფი), სანაპირო დაცვისა და სხვა დაწესებულებების ერთიანი სისტემის მეშვეობით.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის (კოდი 30 01 02) სახელმწიფო ბიუჯეტი მოიცავს 12 სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტს:

- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის;
- სანაპირო დაცვის დეპარტამენტის;
- სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის #1 სამმართველოს (ბათუმი) - მოიცავს 7 ქვედანაყოფს;
- სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის #2 სამმართველოს (ახალციხე) - მოიცავს 9 ქვედანაყოფს;
- სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის #3 სამმართველოს (წითელი ხიდი) - მოიცავს 12 ქვედანაყოფს;
- სახმელეთო საზღვრის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის #4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) - მოიცავს 12 ქვედანაყოფს;
- სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის #5 სამმართველოს (ლაგოდეხი) - მოიცავს 8 ქვედანაყოფს;
- სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის #6 სამმართველოს (ბარისახო) - მოიცავს 7 ქვედანაყოფს;
- სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის #7 სამმართველოს (ყაზბეგი) - მოიცავს 3 ქვედანაყოფს;
- სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის #8 სამმართველოს (ჯავა-ონი) - მოიცავს 3 ქვედანაყოფს;
- სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის #9 სამმართველოს (მესტია) - მოიცავს 6 ქვედანაყოფს;
- სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის #10 სამმართველოს (ზემო აფხაზეთი) - მოიცავს 5 ქვედანაყოფს.

აუდიტის შესწავლის საგანს წარმოადგენს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის (პროგრამული კოდი 30 01 02 01) მიერ 2014-2015 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები

1. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზები

2014-2015 წლებში, სასაზღვრო პოლიცია სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებდა როგორც ცენტრალური აპარატის, ასევე დაწესებულებაში შემავალი ერთეულების ძირითადი საჭიროებებისთვის. მიმდინარე საჭიროებებისთვის დაწესებულებაში შემავალი ერთეულები შესყიდვებს ახორციელებდნენ დამოუკიდებლად.

- სასაზღვრო პოლიციამ, 2014 წლისათვის შს სამინისტროსთვის გაგზავნილი ¹ საბიუჯეტო განაცხადით, ზღვრული მოცულობის ფარგლებში მოითხოვა 128,038 ათასი ლარის ასიგნება. „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებულებას დაუმტკიცდა 74,497 ათასი ლარის ასიგნება (53,541 ათასი ლარით ნაკლები), მათ შორის სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატისთვის 30,383.7 ათასი ლარის ოდენობით.

სასაზღვრო პოლიციის აპარატის 2014 წლის შესყიდვების საწყისი გეგმა განისაზღვრა 4,216.7 ათასი ლარის დონეზე. წლის დასაწყისისთვის დაუგეგმავი შესყიდვების შედეგად, წლის განმავლობაში განხორციელდა 383 ცვლილება, რამაც საწყისი გეგმა გაზარდა 4.6-ჯერ და შეადგინა 19,503.2 ათასი ლარი. საწყის გეგმაში ასიგნებები გათვალისწინებული იყო შესყიდვის მხოლოდ 16 კატეგორიისათვის მაშინ, როდესაც წლის განმავლობაში გამოცხადებული ტენდერები მოიცავდა შესყიდვის 40 კატეგორიას.

იმის გათვალისწინებით, რომ სასაზღვრო პოლიციის აპარატის 2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ჯამური მოცულობა შეადგენდა 25,611 ათას ლარს, ხოლო შესყიდვების კორექტირებული გეგმა განისაზღვრა 16,118 ათასი ლარის ოდენობით - 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა 4,216.7 ათასი ლარის დონეზე მიზანშეუწონელია.

- დაწესებულებამ, 2015 წლისათვის შს სამინისტროსთვის გაგზავნილი ² საბიუჯეტო განაცხადით ზღვრული მოცულობის ფარგლებში, მოითხოვა 118,746 ათასი ლარის ასიგნება. „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, დაწესებულებას დაუმტკიცდა ასიგნება 74,829.5 ათასი ლარის ოდენობით (43,916.5 ათასი ლარით ნაკლები), მათ შორის საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატისთვის 30,894.1 ათასი ლარის ოდენობით.

2015 წლის შესყიდვების გეგმაში წლის განმავლობაში განხორციელდა 427 ცვლილება. ამ შემთხვევაში, დაუგეგმავი შესყიდვებისა და საჭიროებების არასწორად განსაზღვრის შედეგად,

¹ 2013 წლის 17 ივნისის MIA 6 13 01181006 წერილი - შსს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორს დავით ხუციშვილს.

² 2014 წლის 10 ივლისის MIA 4 14 01319370 წერილი - შსს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორს ვლადიმერ ხატიაშვილს.

საწყისი გეგმა (18,264 ათასი ლარი) შემცირებულია 1,394 ათასი ლარით და შეადგინა 16,870 ათასი ლარი.

- ინფორმაცია, 2014-2015 წლებში გამოცხადებული ტენდერების ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, წარმოდგენილია ცხრილის სახით:

2014წ.	რაოდენობა			სავარაუდო ღირ-ბა-ათას ლარებში		
ტენდერის სტატუსი	სულ	მ.შ. - ე.ტ	მ.შ. - გ.ე.ტ	სულ	მ.შ. - ე.ტ	მ.შ. - გ.ე.ტ
სულ-ტენდერი	112	27	85	8,175	6,706	1,469
შეწყვეტილია	2	1	1	855	842	13
არ შედგა	25	6	19	1,144	1,042	102
უარყოფითი შედეგით	7	2	5	344	307	37
ხელშეკრულება დადებულია	78	18	60	5,832	4,515	1,317

გარდა სასაზღვრო პოლიციის აპარატის მიერ გამოცხადებული ტენდერებისა, 2014 წელს კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში გაფორმებულია 8 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 8,260 ათას ლარი, მათ შორის საწვავის შესყიდვაზე - 8,022 ათასი ლარის ოდენობით. ერთობლივი ელექტრონული ტენდერის (გამოცხადებული შს სამინისტროს მიერ) ფარგლებში, სხვადასხვა შესყიდვის კატეგორიებზე გაფორმებულია 1,847 ათასი ლარის ღირებულების 26 ხელშეკრულება. 2014 წლის განმავლობაში გაფორმებული 402 შესყიდვის ხელშეკრულებიდან ³, ღირებულებით 17,471 ათასი ლარი, მთლიანი ხელშეკრულებების რაოდენობის 69% (5,452 ათასი ლარი) გამარტივებული შესყიდვის ფორმით იქნა განხორციელებული (279 ხელშეკრულება).

2015წ.	რაოდენობა			სავარაუდო ღირ-ბა-ათას ლარებში		
ტენდერის სტატუსი	სულ	მ.შ. - ე.ტ	მ.შ. - გ.ე.ტ	სულ	მ.შ. - ე.ტ	მ.შ. - გ.ე.ტ
სულ-ტენდერი	171	83	88	19,420	17,504	1,916
შეწყვეტილია	4	2	2	1,068	951	117
არ შედგა	50	29	21	3,898	3,670	228
უარყოფითი შედეგით	11	4	7	692	628	64
ხელშეკრულება დადებულია	106	48	58	13,762	12,255	1,507

გარდა სასაზღვრო პოლიციის აპარატის მიერ გამოცხადებული ტენდერებისა, 2015 წელს კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში გაფორმებულია 6 ხელშეკრულება 3,542 ათას ლარზე, მათ შორის საწვავის შესყიდვაზე - 3,324 ათასი ლარის ოდენობით. ერთობლივი ელექტრონული ტენდერის (გამოცხადებული შს სამინისტროს მიერ) ფარგლებში გაფორმებულია 2 ხელშეკრულება 219 ათასი ლარის ოდენობით. დაწესებულების მიერ, 2015 წლის განმავლობაში გაფორმებული 395 შესყიდვის ხელშეკრულებიდან, ღირებულებით 22,051 ათასი ლარი, მთლიანი ხელშეკრულებების რაოდენობის 75% (6,749 ათასი ლარი) გამარტივებული შესყიდვის ფორმით იქნა განხორციელებული (297 ხელშეკრულება).

³ აქედან 11 ხელშეკრულებაზე არ ვრცელდება შესყიდვების კანონი.

- უშედეგოდ დასრულებული ტენდერების მაღალი ხვედრითი წილი ფიქსირდება 2014-2015 წლებში გამოცხადებული ტენდერების მთლიან რაოდენობაში, რაც მიუთითებს შესყიდვების განხორციელების პროცესში არსებულ ხარვეზებზე. კერძოდ:

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში გამოცხადებული 112 ტენდერიდან, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 8,175 ათასი ლარი -ხელშეკრულებები გაფორმებულ იქნა მხოლოდ 78 შემთხვევაში სახელშეკრულებო ღირებულებით 5,832 ათასი ლარი. მაშინ, როდესაც 34 ტენდერი - გამოცხადებული ტენდერების ჯამური რაოდენობის 30.4% უშედეგოდ დამთავრდა.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში გამოცხადებული 171 ტენდერიდან, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 19,420 ათასი ლარი-ხელშეკრულებები გაფორმებულ იქნა მხოლოდ 106 შემთხვევაში სახელშეკრულებო ღირებულებით 13,762 ათასი ლარი. მაშინ როდესაც, 65 ტენდერი - გამოცხადებული ტენდერების ჯამური რაოდენობის 38% უშედეგოდ დამთავრდა.

- მაღალია კონკურენციის გარეშე განხორციელებული ტენდერების ხვედრითი წილი წლის განმავლობაში განხორციელებული ტენდერების მთლიან რაოდენობაში. კერძოდ, 2014 წელს გამოცხადებული 112 ტენდერიდან 47 ტენდერში (42%) მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი. კონკურენციის გარეშე მიმდინარეობდა ასევე 2015 წელს გამოცხადებული 171 ტენდერიდან 55 ტენდერი (32%). აღნიშნული განაპირობებს შესყიდვის არაეკონომიურად განხორციელების რისკს.

1-1. ბაზრის კვლევებთან დაკავშირებული შენიშვნები

- გამოცხადებული ტენდერების ფარგლებში 2014 წლის განმავლობაში 22 შემთხვევაში, ხოლო 2015 წლის განმავლობაში 19 შემთხვევაში, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე 20%-დან 70%-მდე დაბალია. მნიშვნელოვანია, რომ კონკურენციის პირობებში პრეტენდენტები ელექტრონული ვაჭრობის ძირითად დროშივე აფიქსირებდნენ სავარაუდო ღირებულებაზე 20%-დან 58%-მდე დაბალ ფასს⁴, რაც შემსყიდველის მხრიდან ბაზრის არასათანადო კვლევაზე მიუთითებს.

კონკურენციის გარეშე განხორციელებული ტენდერებიდან ბაზრის არასათანადო კვლევაზე მიუთითებს ასევე ის გარემოება, რომ რიგ ტენდერებში გამარჯვებული პრეტენდენტი პირველივე რაუნდში აფიქსირებდა სავარაუდო ღირებულებაზე დაბალ ფასს⁵. კონკურენციის არსებობის შემთხვევაში კი, სავარაუდოდ, შესაძლებელი იქნებოდა საბიუჯეტო სახსრების დაზოგვაც.

⁴ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში.

⁵ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში.

ბაზრის კვლევის ეფექტიანად შესწავლის მიზნით, აუდიტის მიმდინარეობისას - 2016 წლის 23 სექტემბრის #065 ბრძანებით, შეიქმნა ბაზრის კვლევის ჯგუფი.

2. კომპიუტერული მოწყობილობებისა და აქსესუარების შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერებში გამოვლენილი ხარვეზები

დაწესებულების მხრიდან, რიგ შემთხვევებში სათანადოდ არ ხორციელდებოდა შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების შესწავლა და სატენდერო დოკუმენტაციაში მათი სწორად ჩამოყალიბება, რის შედეგადაც სახეზეა არშემდგარი და კონკურენციის გარეშე განხორციელებული ტენდერები.

აღნიშნული შესყიდვის კატეგორიით, 2014-2015 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში გამოცხადებული 11 გამარტივებული ელექტრონული ტენდერიდან, ექვსი (54.5%) უშედეგოდ დამთავრდა⁶, ხოლო ექვს ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა. კერძოდ:

2-1. 26 კომპლექტი პერსონალური კომპიუტერის შესყიდვის მიზნით, 2014 წლის 22 აპრილს სასაზღვრო პოლიციამ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA140010541) სავარაუდო ღირებულებით 25.5 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შ.პ.ს. „ალტამ“, რომელთანაც, გამარჯვებულად გამოვლენის შემდგომ გაფორმდა ხელშეკრულება⁷ 24.6 ათასი ლარის ოდენობით.

სატენდერო დოკუმენტაციის შემოწმებით გაირკვა, რომ პრეტენდენტის მიერ მიწოდებული კომპიუტერის ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით, მონიტორის კონტრასტულობა (1000 000:1 (დინამიური)) არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით წარმოდგენილ პირობას (3000 000:1(დინამიური)). შესაბამისად, სატენდერო კომისიას უნდა ემსჯელა და დაეზუსტებინა მოცემული საკითხი, ან დაუზუსტებლობის შემთხვევაში, პრეტენდენტისთვის მიენიჭებინა დისკვალიფიკაცია, რაც გამოიწვევდა ტენდერის უარყოფითი შედეგით დასრულებას. თუ შემსყიდველისთვის მისაღები იყო ერთადერთი პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული წინადადება, სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნული მახასიათებლის გათვალისწინებით არ გამოირიცხებოდა კონკურენცია.

მიზანშეწონილია, რომ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების ჩამოყალიბებისას გამოყენებული იქნეს ისეთი განსაზღვრებები, როგორიცაა „არანაკლები“, „არაუმეტესი“ და ა.შ.

2-2. დაწესებულებამ 2014 წლის ივლისსა და აგვისტოში, პერსონალური კომპიუტერების შესყიდვის მიზნით, კვლავ გამოაცხადა სამი ტენდერი⁸ (სამივე ტენდერი ითვალისწინებდა 11

⁶ 3-დასრულდა უარყოფითი შედეგით - SPA140016518; SPA140025041; SPA150012754. 2 -არ შედგა - SPA140019453; SPA140019894. 1-შეწყვეტილია SPA140025987 .

⁷ #4/3-173.22.05.2014წ.

⁸ SPA140016518 - გამოცხადდა 02.07.14წ; SPA140019453 - გამოცხადდა 15.08.14წ; SPA140019894 - გამოცხადდა 22.08.14წ, წინადადების მიღება მთავრდება 29 აგვისტოს.

ცალი პერსონალური კომპიუტერის შესყიდვას სავარაუდო ღირებულებით - 13.2 ათასი ლარი), რომლებიც დასრულდა უშედეგოდ. კერძოდ, ერთი ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, რომელშიც მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი⁹ და ორი ტენდერი არ შედგა. „არშემდგარი“ ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ „...დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი“, რაც ასევე რეგლამენტირებულია სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით - თავად კი შემსყიდველის სატენდერო დოკუმენტაციაში კომპიუტერული მოწყობილობებისა და აქსესუარების პარამეტრები/ტექნიკური მახასიათებლები მითითებულია ინგლისურ ენაზე.

2-3. იგივე ოდენობის, იგივე სავარაუდო ღირებულებით პერსონალური კომპიუტერების შესყიდვის მიზნით, 82 კალენდარული დღის შემდეგ - 2014 წლის 10 ნოემბერს, სასაზღვრო პოლიციამ კვლავ გამოაცხადა ტენდერი (SPA140025987), რომელშიც მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა. დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტს მიენიჭა დისკვალიფიკაცია იმის გამო, რომ მან არ წარმოადგინა ქართულ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატი. სატენდერო კომისიის 2014 წლის 05 დეკემბრის #4 ოქმის მიხედვით ირკვევა, რომ მომდევნო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის შპს „ბე-დი+“-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის დასაზუსტებელი, თუმცა დეტალურად არ არის მსჯელობა ამის თაობაზე. ამავე ოქმით, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ტენდერის შეწყვეტის თაობაზე. მიუხედავად სახელდება ის გარემოება, რომ „...წლის ბოლომდე ვერ ესწრება სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პროცედურების დასრულება ან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში საქონლის მოწოდება“. სასაზღვრო პოლიციას შეეძლო სამი თვით ადრე გამოეცხადებინა ტენდერი და გამოეყვლინა გამარჯვებული, რაც დაზოგავდა საბიუჯეტო სახსრებს - 2015 წელს ტენდერი გამოცხადებულია გაზრდილ სავარაუდო ღირებულებაზე.

2-4. 2015 წლის 30 აპრილს, იგივე ოდენობის პერსონალური კომპიუტერების შესყიდვის მიზნით - სავარაუდო ღირებულებით 15.4 ათასი ლარი, კვლავ გამოცხადდა ტენდერი (SPA150012754). ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „კომპ ჰაუსმა“. სისტემაში ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციის გაუქმების შემდეგ სისტემაში ატვირთულია შეცვლილი სატენდერო დოკუმენტაცია. თუმცა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ როგორც საწყის, ასევე შეცვლილ სატენდერო დოკუმენტაციაში, საქონლის ძირითად მახასიათებლებში დაფიქსირებულია ვიდეოადაპტერი: არაინტეგრირებული, 1GB DD3 მეხსიერების მოცულობით, რომლის სტანდარტიც არ არსებობს. პრეტენდენტს კი ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებული აქვს იდენტური მახასიათებელი. სატენდერო კომისიის 2015 წლის 20 მაისის #4 სხდომის ოქმით ირკვევა, რომ პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა სატენდერო დოკუმენტაციის სხვადასხვა პუნქტებით განსაზღვრული დაზუსტებული ინფორმაცია, რომლის დაზუსტებაც არ მოხდა. შედეგად, შპს „კომპ ჰაუსს“ მიენიჭა დისკვალიფიკაცია და ტენდერი გამოცხადდა უარყოფითი შედეგით დასრულებულად.

⁹ შპს „პისიშოპ.ჯი“.

კომისიას პრეტენდენტის შერჩევა/შეფასებისას საერთოდ არ უმსჯელია ზემოაღნიშნულ საკითხზე - ვიდეოდაპტერზე.

2-5. იგივე ოდენობის პერსონალური კომპიუტერების შესყიდვის მიზნით, 2015 წლის 27 მაისს კვლავ გამოცხადდა ტენდერი (SPA150015016) იგივე სავარაუდო ღირებულებით - 15.4 ათასი ლარი. ამჯერად, ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა - შპს „კომპ ჰაუსმა“ და შპს „ალგორითმ კომპიუტერსი AlgoritchmCompiuters-მა“. დაბალი სატენდერო წინადადების ფასი (14.7 ათასი ლარი) დააფიქსირა შპს „ალგორითმ კომპიუტერსი Algoritchm Compiuters-მა“. სატენდერო კომისიის 2015 წლის 9 ივნისის სხდომის ოქმი #2-ით ირკვევა, რომ შპს „ალგორითმ კომპიუტერსი Algoritchm Compiuters-ს“ დასაზუსტებელი ჰქონდა სატენდერო წინადადება/ტექნიკური დოკუმენტაციასთან მიმართებით სხვადასხვა მოთხოვნა, მათ შორის, ოქმში მითითებულია ტექნიკური დოკუმენტაციით მოთხოვნილი „ვიდეოდაპტერი: არაინტეგრირებული 1GB DD3 მეხსიერების მოცულობის“ ნაცვლად, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი „ვიდეოდაპტერი არაინტეგრირებული, 1GB DDR3 მეხსიერების მოცულობით“-ის დაზუსტების თაობაზე. 2015 წლის 11 ივნისის წერილით, პრეტენდენტი ატყობინებს შემსყიდველს, რომ მათ (შემსყიდველის) მიერ „მოთხოვნილია ვიდეოდაპტერი: არაინტეგრირებული 1GB DD3, რომლის სტანდარტიც არ არსებობს“ და შესაბამისად სთავაზობს Zotal GF210 1GB 64bit DDR3 ვიდეოდაპტერს. 2015 წლის 16 ივნისის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი #3-დან ირკვევა, რომ ზემოაღნიშნულ ვიდეოდაპტერთან დაკავშირებით სატენდერო დოკუმენტაციაში „გაპარულია შეცდომა და შემოთავაზებული ვიდეოდაპტერი Zotal GF210 1GB 64bit DDR3 შეესაბამება მოთხოვნილ ტექნიკურ მახასიათებლებს“. აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ალგორითმ კომპიუტერსი Algoritchm Compiuters“, სატენდერო წინადადების ფასით - 14.7 ათასი ლარი. კომისიას, მოცემულ შემთხვევაში, უნდა შეეწყვიტა ტენდერი და შეცვლილი სატენდერო წინადადებით გამოცხადებინა ახალი ტენდერი. აღნიშნული შეცდომა ზემოაღნიშნული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაშიც იყო „გაპარული“, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სატენდერო კომისიას საერთოდ არ განუხილავს აღნიშნული საკითხი.

2-6. 2 ცალი პლანშეტური კომპიუტერისა და 2 ცალი პორტატული კომპიუტერის შეძენის მიზნით, 2014 წლის 6 და 28 ოქტომბერს, სასაზღვრო პოლიციამ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი¹⁰. ორივე შემთხვევაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა (სხვადასხვა) პრეტენდენტმა. პირველ შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციით, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, საქონლის ნიმუშების წარმოსადგენად პრეტენდენტს განესაზღვრა არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე, ხოლო მეორე შემთხვევაში - 3 სამუშაო დღე. პირველ შემთხვევაში განსაზღვრულ ვადაში, ნიმუშების წარმოდგენის შემდგომ გაიმარჯვა შპს „ფორსმა“, ხოლო მეორე შემთხვევაში, ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით (შპს „ანკომ“ განსაზღვრულ ვადაში ნიმუში ვერ წარმოადგინა¹¹, თუმცა ერთგვაროვანი მიდგომის შემთხვევაში არსებობდა შესაძლებლობა, რომ ტენდერი არ დასრულებულიყო უარყოფითი

¹⁰ SPA140023306 და SPA140025041.

¹¹ 2014 წლის 27 ნოემბრის სატენდერო კომისიის #4 სხდომის ოქმი.

შედეგით. შემდგომ, არც გამარტივებული შესყიდვის და არც ტენდერის ფორმით, აღნიშნული კომპიუტერების შესყიდვა არ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზი იძლევა იმ მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობას, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში მოთხოვნები, რიგ შემთხვევებში, ჩამოყალიბებულია ხარვეზებით, რაც „არშემდგარი“ ტენდერებისა და ტენდერებში მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მონაწილეობის საფუძველს ქმნის. გარდა ამისა, 11 ცალი პერსონალური კომპიუტერის შესყიდვის მიზნით, 2014 წლის ივლისიდან 2015 წლის 27 მაისამდე გამოცხადებული ტენდერების დინამიკა (სულ 6 ტენდერი - ტენდერებს შორის დროის შუალედები) მიანიშნებს არსებული საჭიროებების სწორად განსაზღვრასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე და ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას¹².

3. ავეჯის შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერებში გამოვლენილი ხარვეზები

სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას, ბაზრის არასათანადო კვლევებზე მიუთითებს აღნიშნული შესყიდვის კატეგორიით განხორციელებული შესყიდვები. ამასთან, სისტემურ ხასიათს ატარებს ხელშეკრულებებში შეტანილი ხშირი ცვლილებები, რომელიც ხორციელდება მიწოდების ვადების ამოწურვიდან 1-2 თვის შემდგომ. მაგალითად:

- სხვადასხვა დანიშნულების ავეჯის მიწოდებაზე, 2013 წლის 8 ნოემბერს, სასაზღვრო პოლიციამ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი¹³ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 60.8 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა. ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა და გამარჯვებულად გამოცხადდა ი/მ ვიოლეტა მინამე, რომელთანაც 2013 წლის 22 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება #4/3-260 ღირებულებით - 47.7 ათასი ლარი. ხელშეკრულებაში განხორციელებული პირველი ცვლილებით, მიწოდების ვადა გადაწეულ იქნა მომდევნო წლის 2014 წლის 10 იანვრის ჩათვლით და შესაბამისად, სახელშეკრულებო ღირებულებიდან 43 ათასი ლარის დაფინანსება განხორციელდა 2014 წლის ასიგნებიდან¹⁴. ხელშეკრულებაში განხორციელებული მეორე ცვლილება კი ითვალისწინებდა მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების დანართის ოთხ სხვადასხვა პოზიციაში შეცვლილ ზომებს (საოფისე და სამზარეულო მაგიდის და პროდუქტის თაროს), რომელიც სატენდერო კომისიამ მისაღებად მიიჩნია, ხოლო პირველი პოზიციის - ორსართულიანი საწოლის შემთხვევაში, 4 სმ-იანი ცდომილების გათვალისწინებით ხელშეკრულების ღირებულება შემცირებულ იქნა 700 ლარით და განისაზღვრა 47 ათასი ლარით. მიმწოდებელი საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის გამო, დაჯარიმებული იქნა 1,767.57 ლარით.

ის გარემოება, რომ აღნიშნული ტენდერის ძირითად დროში, პირველმა სამმა პრეტენდენტმა თითქმის ერთი და იგივე ფასი დააფიქსირა და გამარჯვებულ ი/მ ვიოლეტა

¹² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული მიზანი - „სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა“.

¹³ SPA130024314.

¹⁴ 2014 წლის 8 იანვრის შეთანხმების ოქმი #2.

მინაძესთან მიმართებით ვაჭრობის შედეგად ფასის კლებამ შეადგინა 21.5%, სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაში არსებულ ხარვეზზე მიუთითებს. ამასთან, ვაჭრობის მე-2 რაუნდში (ბოლო შეთავაზება) დაფიქსირებული ფასების მიხედვით, გამარჯვებულსა და მომდევნო პრეტენდენტის ფასებს შორის სხვაობა მხოლოდ ერთი ლარია.

- სხვადასხვა დანიშნულების ავეჯის მიწოდებაზე 2014 წლის 16 ივნისს, სასაზღვრო პოლიციამ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი¹⁵, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 86.1 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა და ამჯერადაც გამარჯვებულად გამოცხადდა ი/მ ვიოლეტა მინაძე, რომელთანაც 2014 წლის 10 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება #4/3-217 ღირებულებით 67.8 ათასი ლარი. ძირითად დროში ფასის კლებამ შეადგინა 17%. მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე. ამჯერადაც, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო გადასახდელი საურავების ჯამური ღირებულება შეადგენდა 3,056.99 ლარს¹⁶. შესაბამისი წერილი, აღნიშნული თანხის გადახდასთან დაკავშირებით, მიმწოდებელს წარედგინა შემოწმების მიმდინარეობისას - 2016 წლის 30 სექტემბერს¹⁷.

4. სატრანსპორტო საშუალებებისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერებში გამოვლენილი ხარვეზები

აღნიშნული შესყიდვის კატეგორიით, 2014-2015 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში გამოცხადებულ იქნა 30 ტენდერი, საიდანაც 18 (60%) დამთავრდა უშედეგოდ (9 - არ შედგა, 1 - დასრულდა უარყოფითი შედეგით, 2 - შეწყვეტილ იქნა). სატენდერო დოკუმენტაციის შესწავლით გამოიკვეთა შემდეგი სახის დარღვევა-ნაკლოვანებები:

- o სატენდერო დოკუმენტაციით ჩამოყალიბებული მოთხოვნები იძლევა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას;
 - o ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებებში კანონმდებლობასთან შეუსაბამო ხშირი ცვლილებების შეტანის და;
 - o ტენდერის დაუსაბუთებლად შეწყვეტის ფაქტებს. მაგალითად:
- 2015 წლის 27 იანვარს, სასაზღვრო პოლიციამ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150002494) პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებით 405.8 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა - შპს „თეგეტა მოტორსმა“ და შპს „YOUR CENTER“-

¹⁵ SPA140015254.

¹⁶ მ/წ აქტები: 13.08.2014; 19.08.2014; 20.08.2014; 21.08.2014; 01.09.2014; 09.09.2014; 04.09.2014; 05.09.2014; 09.09.2014; 11.09.2014;

¹⁷ #2457894.

მა. დაბალი სატენდერო წინადადების პრეისკურანტის ფასი წარმოადგინა შპს „YOUR CENTER“-მა 361.1 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც დისკვალიფიცირებული იქნა სატენდერო პირობების შეუსრულებლობის გამო. კერძოდ, სატენდერო კომისიის 2015 წლის 24 თებერვლის სხდომის ოქმი #2-ის მიხედვით ირკვევა, რომ სატრანსპორტო უზრუნველყოფის სამსახურის ¹⁸ მიერ დათვალიერებულ იქნა შპს „YOUR CENTER“-ის მიერ მითითებულ მისამართზე (ქ. თბილისი კაიროს ქ. #26) განთავსებული ე.წ. „სერვის ცენტრი“, რომელიც ეკუთვნოდა შპს „ტრანსმშენს“, სადაც მიმდინარეობდა ამავე ფირმაზე რიცხული ავტომანქანების რემონტი. ასევე არ იყო ბოქსები, სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, არანაირი აღჭურვილობა, ხელსაწყოები და პირობები დაწესებულების ბალანსზე რიცხული სატვირთო ავტომობილების სარემონტოდ. შესაბამისად, აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „თეგეტა მოტორსი“.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული მომსახურების შესყიდვის მიზნით, შპს „YOUR CENTER“-ს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული სასაზღვრო პოლიციის მიერ 2014 წელს გამოცხადებულ 5 ტენდერში, საიდანაც 4-ში გამოვლენილია გამარჯვებულად (ბოლოს გამარჯვებულია 2014 წლის 10 ნოემბერს გამოცხადებულ ტენდერში (SPA140026016)), რომელშიც კონკურენციის გარეშე იმარჯვებდა. თუმცა, 2014 წლის ტენდერების ¹⁹ განხორციელებისას, შპს „YOUR CENTER“-ის მიერ მითითებულ მისამართზე (ქ. თბილისი კაიროს ქ.#26) განთავსებული ე.წ. „სერვის ცენტრთან“ მიმართებით სატენდერო კომისიის მიერ პრეტენზია არ დაფიქსირებულა მაშინ, როცა ყველა შემთხვევაში მომსახურების გაწევის ადგილად მითითებულია იგივე მისამართი.

- 2014-2015 წლებში გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, წლის განმავლობაში განხორციელებულია ხშირი ცვლილებები (8 ცვლილებიდან 39 ცვლილების ჩათვლით), რაც ძირითადად გამოწვეული იყო პრეისკურანტში არარსებული მომსახურების ერთეულების დამატებით. შედეგად, პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი აღემატება მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს, რაც ეწინააღმდეგება შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობას ²⁰. მაგალითად: 2015 წლის 4 თებერვალს გამოცხადებულ ტენდერში ²¹ გაიმარჯვა შპს მათემოტორსმა, ხელშეკრულებაში განხორციელდა 39 ცვლილება, შედეგად, პრეისკურანტში მომსახურების დამატებითი ერთეულების შეტანით გამოწვეულმა ხვედრითმა წილმა შეადგინა 13.5%-; 2015 წლის 27 იანვარს გამოცხადებული ტენდერის ²² ფარგლებში - 14.5%; 2014 წლის 10 იანვარს

¹⁸ სასაზღვრო პოლიციის სატრანსპორტო უზრუნველყოფის სამსახურის 2015 წლის 18 თებერვლის პაეტაკი #363140.

¹⁹ SPA140020611; SPA140007627; SPA140007625.

²⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 26-ე მუხლის მოთხოვნა.

²¹ SPA150003685.

²² SPA150002494- გამარჯვებული შპს თეგეტა მოტორსი, განხორციელდა 36 ცვლილება.

გამოცხადებული ტენდერის²³ ფარგლებში - 15.7%; 2014 წლის 17 მარტს გამოცხადებული ტენდერის²⁴ ფარგლებში - 12.3%.

- 2014 წლის 30 დეკემბერს, სასაზღვრო პოლიციამ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140031222) პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებით 842 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა - შპს „მათემოტორსმა“, შპს „ავტოსერვისცენტრი“-მა და შპს „ავტოტრანს სერვისმა“. ვაჭრობის შედეგად დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა შპს „მათემოტორსმა“ 410 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მომდევნო დაბალი სატენდერო წინადადების ფასი - 413.4 ათასი ლარი დააფიქსირა შპს „ავტოსერვისცენტრი“-მა, ანუ, ორივე შემთხვევაში შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 51%-ით ნაკლები. სატენდერო კომისიის (2015 წლის 2 თებერვლის სხდომის ოქმი#2) მიერ ტენდერი შეწყვეტილ იქნა იმ მოტივით, რომ პრეტენდენტების მიერ სატენდერო დოკუმენტაციის პირობა („პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად პრეისკურანტის საერთო ფასის შემცირების შემთხვევაში, ფასთა კლება პროცენტულად და პროპორციულად უნდა აისახოს პრეისკურანტის მოცემული ჩამონათვალის ერთეულის ფასებზე“), გაგებულ იქნა ორაზროვნად და სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ხელახლა გამოცხადებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში შეეტანა ცვლილება, თუმცა, არცერთ პრეტენდენტს (მსურველს) სისტემის მეშვეობით კითხვა-პასუხის მოდული არ გამოუყენებია.

მოცემულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიის შესაბამის ოქმში, არ არის განვითარებული დეტალური მსჯელობა „გაგებული იქნა ორაზროვნად“-თან მიმართებით.

მსგავსი მომსახურების შესყიდვის მიზნით, იგივე სატენდერო დოკუმენტაციის პირობით, 2015 წლის 30 დეკემბრამდე გამოცხადებულ იქნა 9 ელექტრონული ტენდერი, საიდანაც 4 დამთავრდა უშედეგოდ (არ შედგა), ერთი ტენდერი შეწყვეტილ იქნა, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენით დამთავრებული 4 ტენდერიდან, ერთ-ერთში²⁵ გაიმარჯვა ზემოაღნიშნულ ტენდერში მონაწილე შპს „მათემოტორსმა“. ასევე, 2013 წლის 3 თებერვალს გამოცხადებულ ტენდერში (SPA130003939), რომლის სატენდერო დოკუმენტაციის პირობა, ზემოაღნიშნული შეწყვეტილი ტენდერის პირობის იდენტურია. გამარჯვებულად გამოვლენილია შეწყვეტილ ტენდერში მონაწილე ერთ-ერთი მონაწილე შპს „ავტოსერვისცენტრი“. ანუ, ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში, სატენდერო დოკუმენტაციის პირობა ორაზროვნად არ იქნა აღქმული.

სასაზღვრო პოლიციამ, აღნიშნული შეუსაბამოების თავიდან აცილების მიზნით, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნები უნდა ჩამოაყალიბოს იმ ფორმით, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა²⁶.

²³ SPA140000694 -გამარჯვებული შპს მათემოტორსი, განხორციელდა 3 ცვლილება.

²⁴ SPA140007627 - გამარჯვებული შპს YOUR CENTER, განხორციელდა 11 ცვლილება.

²⁵ SPA150036135- მინაწილეობდა 4 პრეტენდენტი.

²⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნა.

5. ტანსაცმლის/სპეცტანსაცმლის, ფეხსაცმლის და საბარგო ნივთების შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერებში გამოვლენილი ხარვეზები

შესყიდვების პროცესის შესწავლით გაირკვა, რომ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას, ბაზარი არასათანადოდ არის გამოკვლეული. ხშირ შემთხვევებში სატენდერო დოკუმენტაციაშიც და ხელშეკრულებებშიც ჩადებულია შეუსრულებელი მოთხოვნები როგორც მიწოდების ვადებთან (რაც იწვევდა ხელშეკრულებებში ხშირ ცვლილებებს), ასევე ტექნიკურ პირობებთან დაკავშირებით, რომლის შესაბამისობის დადგენაც შეუძლებელი იყო თვით ექსპერტიზის ბიუროს მიერ. აღნიშნული გარემოებები ზღუდავს კონკურენციას²⁷ და იწვევს ტენდერის პროცესის გაჭიანურებას. მაგალითად:

- 2015 წლის 10 მარტს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში²⁸ (ხაკისფერი და ლურჯი მაისურების შესყიდვა) მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 63 ათასი ლარის ოდენობით. დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა შპს „ტექსტილი“-მა, რომელიც დისკვალიფიცირებული იქნა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ვადაში შესაბამისი ნიმუშების წარმოდგენლობის გამო. გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი - შპს „კოლხეთი 2012“, რომელმაც დააფიქსირა 41.9 ათასი ლარი, სავარაუდო ღირებულებაზე 33.5%-ით ნაკლები. აღსანიშნავია, რომ ტენდერში მონაწილე ოთხი პრეტენდენტიდან სამმა დააფიქსირა დაახლოებით ერთნაირი ფასი²⁹, რაც სავარაუდო ფასის არასწორ განსაზღვრაზე მიუთითებს.

ტექნიკურ დოკუმენტაციაში საქონლის ძირითად მახასიათებლად მოთხოვნილი იყო „ქსოვილი არანაკლებ 1 მ² 150±3გრ“. შპს „კოლხეთი 2012“-ის მიერ წარმოდგენილი ნიმუშები, ტექნიკურ მახასიათებლებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველის მიერ გადაგზავნილ იქნა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით ირკვევა, რომ ნიმუშების ტექნიკური მახასიათებლები თვითონ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მხრიდან ორაზროვნად იქნა გაგებული. კერძოდ, წარმოდგენილ დასკვნაში 1მ² ქსოვილის წონასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ „იმ შემთხვევაში თუ გათვალისწინებული უნდა იყოს მაჩვენებელი ქსოვილის წონა არანაკლებ 150გრ/მ² მაისური ჩაითვლება ტექნიკურ პირობასთან შესაბამისად, ხოლო თუ გათვალისწინებული უნდა იყოს 150 ±3 გრ, ამ შემთხვევაში მაისურები ჩაითვლება ტექნიკურ პირობასთან შეუსაბამოდ 1მ² ქსოვილის წონით“. აღნიშნულ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით სატენდერო კომისიას არ უმსჯელია და შპს „კოლხეთი 2012“ გამოავლინა გამარჯვებულად, რომელთანაც 2015 წლის 18 მაისს გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება #4/3-182. საქონლის მიწოდების ვადა იჭურებოდა 2015 წლის 6 ივლისს. 2015

²⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული მიზანი - „სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება“.

²⁸ SPA150007659.

²⁹ 41,998 ლარი; 41,895 ლარი; 41,890 ლარი.

წლის 20 ივლისს, ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით კი, მიმწოდებლის თხოვნით მაისურების მწარმოებელი ქვეყანა - თურქეთი, შეიცვალა საქართველოში მწარმოებელი გამარჯვებული კომპანია შპს „კოლხეთი 2012“-ით. აღსანიშნავია, რომ ტენდერში მონაწილე დანარჩენ სამ პრეტენდენტს მაისურების მწარმოებელ ქვეყნად მითითებული ჰქონდათ საქართველო (თავისი კომპანიები).

სასაზღვრო პოლიციამ, აღნიშნული შეუსაბამოების თავიდან აცილების მიზნით, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნები უნდა ჩამოაყალიბოს იმ ფორმით, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა³⁰.

- სპეციალური ტანსაცმლისა და აქსესუარების შესყიდვის მიზნით, 2015 წლის 10 მარტს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150007665) მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 595 ათასი ლარის ოდენობით. ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ARMYCO LTD“, რომელმაც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირა ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი - 500 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ტენდერის პროცესში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა შეუსაბამოებს. კერძოდ:

სატენდერო დოკუმენტაციით, პრეტენდენტს მოეთხოვებოდა საქონლის ნიმუშის წარმოდგენა შესაბამისი ევროპული სერთიფიკატის მქონე ლაბორატორიულ დასკვნებთან ერთად ქსოვილის ტექნიკური პარამეტრების შესახებ, რაც წარმოდგენილია პრეტენდენტის მიერ. სატენდერო კომისიის 2015 წლის 20 აპრილის სხდომის ოქმი #4-ის მიხედვით, კომისიამ გადაწყვიტა, ნიმუშების ტექნიკურ მახასიათებლებთან შესაბამისობა დაედგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნის საფუძველზე. სატენდერო კომისიის 2015 წლის 8 მაისის სხდომის ოქმი #6-ის მიხედვით კი, კომისიამ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დაადგინა, რომ შპს „ARMYCO LTD“-ს მიერ წარმოდგენილი ნიმუშები შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. თუმცა, თავად ექსპერტიზის დასკვნაში დაფიქსირებულია, რომ ტექნიკური პირობების რიგი მოთხოვნები ვერ იქნა დადგენილი შესაბამისი ხელსაწყო-დანადგარების უქონლობის და აგრეთვე იმის გამო, რომ ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში რიგ მოთხოვნებთან დაკავშირებით, შესაბამისი კვლევები არ ტარდებოდა. მიუხედავად ამისა, აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიას არ უმსჯელია. აქედან გამომდინარე, აზრი ეკარგება სატენდერო დოკუმენტაციის 6.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემსყიდველის უფლებამოსილების გამოყენებას იმის თაობაზე, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ნიმუშებს ჩაუტაროს ექსპერტიზა სატენდერო წინადადებაში განსაზღვრულ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მაშინ, როცა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ნიმუშები, ქსოვილის ტექნიკური პარამეტრების შესახებ ლაბორატორიულ დასკვნებთან ერთად, ადასტურებს ნიმუშის მახასიათებლების შესაბამისობას ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებთან.

³⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გამარჯვებულად გამოვლენის შემდეგ, 2015 წლის 4 ივნისს, სასაზღვრო პოლიციასა და შპს „ARMYCO LTD“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება #4/3-199 ღირებულებით 500,0 ათასი ლარი. საქონლის მიწოდების თავდაპირველ ვადად განსაზღვრულ იქნა ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღე (2015 წლის 2 სექტემბერი). აღნიშნული ვადის ამოწურვიდან 1 თვის შემდგომ - 2015 წლის 5 ოქტომბრის დამატებითი შეთანხმების საფუძველზე, საქონლის მიწოდების ვადა გაზრდილია 30 კალენდარული დღით. გადაწყვეტილება მიღებულია შპს „ARMYCO LTD“-ს მიერ საქონლის მიწოდების დაგვიანებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე (რომ მათი მიმწოდებელი კომპანია ნამდვილად მდებარეობს აფეთქების ზონაში - ჩინეთში). ხელშეკრულებაში ჩადებული დაჯარიმების მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ბიუჯეტში დაახლოებით 33 ათასი ლარის მიმართვა. საქონელი მიწოდებულია 2015 წლის 26 ოქტომბერს. დაწესებულების მიერ, 2016 წლის 8 თებერვალს, მიმწოდებელს წარედგინა შესაბამისი წერილი მხოლოდ 25 ათასი ლარის გადახდასთან დაკავშირებით, რომელიც აუდიტის მიმდინარეობისას არ იყო გადახდილი (საქმე შემდგომი რეაგირებისთვის გადაცემულია იურიდიული სამსახურისთვის).

სატენდერო დოკუმენტაციის 4.1 პუნქტის მიხედვით, მოთხოვნილია, რომ გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით. ელექტრონულ სისტემაში ატვირთული საქართველოს ბანკის ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის საფუძველზე, გარანტი პასუხისმგებლობას იღებს პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე არაუმეტეს ჯამში - 10,000 ლარი (ხელშეკრულების ღირებულების 2%-ზე). ამასთან, სატენდერო დოკუმენტაციის 4.2 პუნქტის მიხედვით, ასევე მოთხოვნილია, რომ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ბოლო ვადას (ანუ, ცვლილების შესაბამისად - 2 ოქტომბერს). წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მიხედვით კი, გარანტიის მოქმედების ვადად განსაზღვრულია არაუგვიანეს 2015 წლის 4 ოქტომბერი.

- ანალოგიურად, საძილე ტომრებთან მიმართებით (2015 წლის 10 მარტს გამოცხადებული ტენდერი - SPA150007676), ექსპერტიზის მიერ ტექნიკური პირობების რიგი მოთხოვნები ვერ იქნა დადგენილი აპარატურისა და სპეციალური მოწყობილობების უქონლობის გამო. მიუხედავად ამისა, სატენდერო კომისიას ამჯერადაც არ უმსჯელია აღნიშნულთან დაკავშირებით და ტენდერში მონაწილე ერთადერთი პრეტენდენტი შპს „დოკუტექს ჯორჯია“ გამოვლენილ იქნა გამარჯვებულად. ამ შემთხვევაშიც, ტექნიკური დოკუმენტაციით ისეთი პირობების მოთხოვნა, რომლის შესაბამისობის დადგენაც შეუძლებელია და ტენდერის პროცესის გაჭიანურებას იწვევს, აზრი ეკარგება სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ შემსყიდველის უფლებამოსილების გამოყენებას იმის თაობაზე, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ნიმუშებს ჩაუტაროს ექსპერტიზა, სატენდერო წინადადებაში განსაზღვრულ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

- 2015 წლის 28 აპრილს გამოცხადებულ ტენდერში (SPA150012440 - ქაშვების, ხელთათმანის და ქუდების შესყიდვა), გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „მტურმი“, რომელთანაც 22 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება #4/3-235 ღირებულებით 88.5 ათასი ლარი. შპს „მტურმის“ მიერ, პირველი ოქტომბრის ჩათვლით, მიწოდებული იქნა მხოლოდ 32,0 ათასი ლარის ღირებულების საქონელი, ხოლო 2 ოქტომბერს, დანარჩენი ვალდებულების შესრულებაზე, მიმწოდებელმა უარი განაცხადა³¹, რის შედეგადაც დაეკისრა პირგასამტეხლო და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში გაგზავნილი წერილის საფუძველზე, დარეგისტრირებულ იქნა მიმწოდებელთა შავ სიაში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობას იღებდა 4 პრეტენდენტი. სატენდერო დოკუმენტაციის 3.4.3 პუნქტის მიხედვით, პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ მონაცემებს შორის, შალის ხელთათმანსა და შალის ქუდზე მოთხოვნილი იყო აკრედიტირებული ლაბორატორიის მიერ გაცემული დასკვნები ტექნიკურ პარამეტრებთან შესაბამისობის შესახებ, რაც არცერთი პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ 15 სექტემბერს (ხელშეკრულების გაფორმებიდან 55 დღის შემდეგ), ხელშეკრულებაში შესული ცვლილებით, ნაცვლად 1000 ერთეული 150 სმ სიგრძის წელის აღჭურვილობის ქაშისა - ერთეულის ღირებულებით 17.50 ლარი, განისაზღვრა 100 ცალი 165 სმ სიგრძის და 900 ცალი 146 სმ სიგრძის ქაშის მიწოდება ერთეულის ღირებულებით 17.00 ლარი. თავდაპირველად, სატენდერო დოკუმენტაციით აღნიშნული ქაშის სიგრძე განსაზღვრული იყო არანაკლებ 150 სმ. ამდენად, აღნიშნული სახელშეკრულებო ცვლილება მიზანშეუწონელია;

- ზამთრის საცვლებისა და შალის წინდების შესყიდვის მიზნით, 2015 წლის 10 მარტს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150007661) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „კარა ჯორჯია“, რომელთანაც 2015 წლის 8 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება #279 ღირებულებით 124.9 ათასი ლარი (სავარაუდო ღირებულებაზე 18%-ით ნაკლებზე). სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობების შესაბამისად, ზამთრის საცვლებისთვის (შარვალისა და გრძელსახელოიანი მაისურის) 1მ²-ზექსოვილის წონა განისაზღვრა 235გ±5გ. აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო შვიდმა პრეტენდენტმა. გამარჯვებული წარმოადგენდა მე-4 დაბალი სატენდერო ფასის მქონე პრეტენდენტს. სამი პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია განხორციელდა იმის გამო, რომ ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, მათ ვერ დააკმაყოფილეს აღნიშნული მოთხოვნა. შპს „კარა ჯორჯიასთან“ მიმართებით კი, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 253.3 გრ/მ² და 252.2 გრ/მ² (შესაბამისად მაისურისა და შარვლის), რაც აღემატება დასაშვებ მაჩვენებელს, დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ მეტობით სხვაობა არ აუარესებს მათ სამომხმარებლო თვისებებს.

სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება. შესაბამისად, მიზანშეუწონელია, რომ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების ჩამოყალიბებისას გამოყენებულ იქნას ისეთი განსაზღვრებები, როგორიცაა „არანაკლები“, „არაუმეტესი“ და ა.შ.

³¹ მათივე გამოგზავნილი წერილით.

შპს „კარა ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღე. აღნიშნული პირობის თანახმად, მიწოდების ვადა იწურებოდა 2015 წლის 6 დეკემბერს. მიწოდების ვადის ამოწურვიდან 18 კალენდარული დღის შემდეგ - 2015 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებდა საბანკო გარანტიის საფუძველზე 28.6 ათასი ლარის საქონელზე წინასწარ ანგარიშსწორების განხორციელებასა და ხელშეკრულების მოქმედების ვადის გადაწევას 2016 წლის 1 მარტამდე. ზემოაღნიშნული თანხა მიმწოდებლისთვის გადარიცხულ იქნა ავანსის სახით 29 დეკემბერს, მაშინ, როცა სატენდერო დოკუმენტაციის 3.3.3 პუნქტის თანახმად, წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ განიხილებოდა.

- საზღვაო დანიშნულების ქსოვილის ნივთების (ბაგირი) შესყიდვის მიზნით, 2013 წლის 24 ოქტომბერს გამოცხადებულ ტენდერში (გ.ე.ტ-SPA130023198), სავარაუდო ღირებულებით 46.7 ათასი ლარი, მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა. ძირითად დროში სამმა პრეტენდენტმა დააფიქსირა სავარაუდო ღირებულებაზე 26%-დან 44.5%-მდე დაბალი ფასი, რაც სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ხარვეზზე მიუთითებს. მომდევნო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტთან - შპს „VITA“-თან, რომელმაც დააფიქსირა 34.5 ათასი ლარი, 2013 წლის 24 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება #4/3-295. საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე (2014 წლის 22 იანვარი). ხელშეკრულებაში პირველი ცვლილება განხორციელდა 2014 წლის 4 მარტს (საქონლის მიწოდების ვადის ამოწურვიდან 41 კალენდარული დღის შემდეგ), რომელიც ეხებოდა ხელშეკრულების ვადის გადაწევას 2014 წლის 5 აპრილის ჩათვლით, ხოლო მეორე ცვლილება - 2014 წლის 4 აპრილს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გადაწევას 2014 წლის 30 აპრილამდე. ფაქტობრივად, 27 ათასი ლარის ღირებულების საქონელი მიწოდებულია 2014 წლის 3 აპრილს³², ვადის ამოწურვიდან 71 დღის შემდეგ, ხოლო 16 აპრილს³³ 7.5 ათასი ლარის საქონელი მიწოდებულია ვადის ამოწურვიდან 81 დღის შემდეგ, რისთვისაც მიმწოდებელი დაჯარიმდა 5,048 ლარით.

6. ცხოველის საკვების შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერში გამოვლენილი ხარვეზები

ცხოველის საკვების შესყიდვის მიზნით, 2015 წელს გამოცხადებული ექვსი გამარტივებული ელექტრონული ტენდერიდან ოთხი უშედეგოდ დამთავრდა (არ შედგა)³⁴, ხოლო ორ ტენდერში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი (სხვადასხვა) პრეტენდენტი და იმარჯვებდა სავარაუდო ღირებულების ფასით. კერძოდ:

³² მ/წ აქტი #645692. 03.04.2014წ.

³³ მ/წ აქტი #734570. 16.04.2014წ.

³⁴ SPA150031976; SPA150030878; SPA150028989; SPA150028325 .

2015 წლის 6 თებერვალს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150003985) გამარჯვებულ შპს „აქვა ტერრასთან“ 19 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება #4/3-122 ღირებულებით 14.7 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის 4.2 და 4.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული იყო შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა პრეტენდენტის მიერ საქონლის ნიმუშების წარმოდგენა და მათთვის ლაბორატორიული კვლევის ჩატარება სატენდერო წინადადებაში განსაზღვრულ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით³⁵. თუმცა, სატენდერო კომისიას ნიმუშის წარდგენის მოთხოვნით შპს „აქვა ტერრასთან“ არ მიუმართავს.

აღნიშნულ ტენდერთან დაკავშირებით, შპს „სმარტ დისტრიბუშენმა“ გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში (საჩივარი #DIS150003985_01. 20.02.2015წ). საჩივარი ეხებოდა გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი პროდუქტის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მახასიათებლებთან შეუსაბამობას. განსახილველ საჩივარს დოკუმენტის სახით თან ახლავს ეტიკეტი, რომელიც საბჭოს მიერ ვერ იქნა გაზიარებული საჩივარში აღწერილი შეუსაბამობების დამადასტურებელ არგუმენტად, ვინაიდან შეუძლებლად მიიჩნია წარმოდგენილი ეტიკეტის ავთენტურობის დადგენა და იმის გარკვევა, ეკუთვნის თუ არა ეტიკეტი შპს „აქვა ტერრას“ მიერ შეთავაზებულ პროდუქტს. შედეგად, საჩივარი დავების განხილვის საბჭოს მიერ არ დაკმაყოფილდა.

აღსანიშნავია, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი დავების საბჭოს სხდომაზე არ გამოცხადებულა. გამოცხადების შემთხვევაში მას შეეძლო წარმოედგინა შესაბამისი არგუმენტები და „ეტიკეტი“, რაც გაამყარებდა მათ პოზიციას.

უშედეგოდ დასრულებული ტენდერებიდან ერთ-ერთ ტენდერთან (SPA150028989 - 29.10.15წ) დაკავშირებით, სისტემის მეშვეობით კითხვა-პასუხის მოდულის გამოყენებით, ზემოაღნიშნული მომჩივანის - შპს „სმარტ დისტრიბუშენის“ მიერ დაფიქსირებულია, რომ „.....ტენდერის კრიტერიუმები შედგენილია ისე, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კონკრეტული პრეტენდენტი - შპს „აქვა ტერრა“, იგი ასევე გამოთქვამს გონივრულ ეჭვს, რომ ტენდერი არის სუბიექტური და მორგებული ზემოაღნიშნული კომპანიის ინტერესებს....“.

ზემოაღნიშნული „არშემდგარი“ ტენდერის შემდგომ გამოცხადებული კიდევ ორი ტენდერი დასრულდა უშედეგოდ, რის შემდგომაც, 21.12.2015წ. გამოცხადებულ ტენდერში (SPA150035210) შეცვლილი ტექნიკური პირობებით იმარჯვებს შპს „სმარტ დისტრიბუშენი“ სავარაუდო ღირებულების ფასით - 37 ათასი ლარის ოდენობით.

ასევე, აღსანიშნავია, რომ შს სამინისტროს მიერ 2014 წლის 12 თებერვალს გამოცხადებულ ერთობლივ ტენდერში (SPA140004389), სადაც ასევე მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი - შპს „აქვა ტერრა“, გამარჯვებულად გამოვლენის შემდგომ, დაწესებულებასა

³⁵ აგრეთვე, საქონლის გადაცემის დროს საქონლის შემოწმება/კონტროლი გათვალისწინებულია ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-3 პუნქტით.

და შპს „აქვა ტერრას“ შორის 2014 წლის 11 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება #4/3-79 ღირებულებით 15 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული ფაქტები და მათი დინამიკა ბადებს გონივრულ ეჭვს იმის თაობაზე, რომ ტენდერის კრიტერიუმები ჩამოყალიბებული იყო შპს „აქვა ტერრას“ ინტერესების გათვალისწინებით.

7. სხვადასხვა საკვები პროდუქტის შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერში გამოვლენილი ხარვეზები

2015 წლის 6 იანვარს, სასაზღვრო პოლიციამ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი თაფლის შესყიდვაზე³⁶ სავარაუდო ღირებულებით - 119,000 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა (შპს „გსქ კულა“ და შპს „ფუტკარა“). სატენდერო წინადადების დაბალი ფასი დააფიქსირა შპს „ფუტკარამ“ - 100,999 ლარი (კონკურენტზე (101,000 ლარი) 1 ლარით ნაკლები)) და გამარჯვებულადაც გამოცხადდა.

სატენდერო კომისიის 2015 წლის 6 თებერვლის სხდომის #2 ოქმით ირკვევა, რომ პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა სატენდერო დოკუმენტაციის სხვადასხვა პუნქტით განსაზღვრული დაზუსტებული ინფორმაცია, ხოლო სატენდერო წინადადების ფასთა ცხრილის წარმოდგენაზე ოქმში არაფერია ნათქვამი³⁷. თუმცა, იმავე დღეს წერილით იქნა მოთხოვნილი აღნიშნული ფასთა ცხრილის წარმოდგენა. პრეტენდენტისთვის გაგზავნილი შეტყობინების წერილის შედგენა კი ხდება სატენდრო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე და ერთობლიობაში განიხილება.

შპს „ფუტკარას“ მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ფასთა ცხრილიდან ირკვევა, რომ ფასთა ცხრილში აღგილი აქვს არითმეტიკულ შეუსაბამობას. კერძოდ, საერთო თანხა დაფიქსირებულია 100,999 ლარის ოდენობით, თუმცა 11,900კგ თაფლის ნამრავლი ერთეულის ფასზე (8.49 ლარი) უდრის არა 100,999 ლარს, არამედ - 101,031.00 ლარს. აღნიშნული, პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის მიზეზი უნდა გამხდარიყო.

8. გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გაფორმებული ხელშეკრულებები

- 2015 წლის 5 მაისს, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, შპს „ლემასთან“ გაფორმდა #4/3-176 ხელშეკრულება, სამი ერთეული შვეულმფრენისა და ორი ერთეული თვითმფრინავისთვის დამცავი შალითების შესყიდვაზე, საერთო ღირებულებით 14.8 ათასი ლარი. გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით შესყიდვის მიზეზად სახელდება ის გარემოება, რომ დაწესებულების „სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს კუთვნილი საფრენი აპარატები განთავსებულია სადგომზე და არ გააჩნია

³⁶ SPA150000173.

³⁷ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა - „სატენდერო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა აისახოს სატენდერო კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმში“.

კლიმატური პირობების (სეტყვა, მზის სხივები, ქარიშხალი და ა.შ) საწინააღმდეგო დამცავი შალითები, რაც აზიანებს.....“³⁸.

საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე (2015 წლის 3 ივნისი). აღნიშნული საქონელი მიწოდებულია ეტაპობრივად - 5 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე (პირველი ეტაპი - 2 თვის და ბოლო ეტაპი 4 თვის დაგვიანებით). საქონლის მიწოდების ვადების დარღვევისთვის დაკისრებული საურავი³⁹ შპს „ლემასის“ მიერ გადახდილია ბიუჯეტში. ფაქტობრივი მდგომარეობა ვერ ასაბუთებს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენებას. აღნიშნულ ვადაში გამოცხადებული ტენდერის საშუალებით, სავარაუდოდ შესაძლებელი იყო საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა.

- 2015 წლის 26 ოქტომბერს, შპს „ქოულ გრუპთან“ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, შესყიდვის გამარტივებული ფორმით გაფორმებულ იქნა #4/3-325 ხელშეკრულება 3,500 ერთეული შალის ხელთათმანისა და შალის ქუდის შესყიდვაზე⁴⁰ ღირებულებით 70.0 ათასი ლარი. მიწოდების ბოლო ვადად განისაზღვრა ამავე წლის 30 ნოემბერი.

შპს „ქოულ გრუპის“ მიერ 2015 წლის 1 დეკემბერს მიწოდებული საქონელი აღმოჩნდა წუნდებული. წუნის გამოსასწორებლად სატენდერო კომისიამ⁴¹ მიმწოდებელს (მისივე თხოვნით)⁴² მისცა 5 სამუშაო დღე - 8 დეკემბრამდე. აღნიშნული საქონელი შემოსავალში აღებულია 8 დეკემბერს⁴³. დაწესებულებამ, ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ნიმუშები მეორე დღესვე გადაგზავნა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“. 2015 წლის 18 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით კი ირკვევა, რომ ხელთათმანის ნიმუშები შესაბამემა ტექნიკურ პირობებს, ხოლო შალის ქუდის ნიმუშები შეუსაბამოა ტექნიკური პირობით დადგენილ მაჩვენებლებთან. 2015 წლის 24 დეკემბრის სატენდერო კომისიის ოქმი #2-ით ირკვევა, რომ შპს „ქოულ გრუპის“ მიერ იგივე ბიუროში წარდგენილი ქუდის ნიმუში, ექსპერტიზის დასკვნის⁴⁴ მიხედვით, შეესაბამებოდა ტექნიკურ პირობებს. აქედან გამომდინარე, მიმწოდებლის თხოვნის საფუძველზე, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კომისიამ გადაწყვიტა ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება, რისთვისაც ნიმუში გაგზავნილ იქნა თურქეთში (სტამბოლში Ltd SGS Turkey-ის სახელზე), საიდანაც 2016 წლის 25 იანვარს მიღებულია დადებითი დასკვნა.

³⁸ შს სამინისტროსადმი გაგზავნილი 2015 წლის 1 მაისის დაწესებულების #MIA0 15 926219 წერილი.

³⁹ 2.9 ათასი ლარის ოდენობით.

⁴⁰ აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ტენდერის (SPA150012440) შედეგად გამარჯვებული შპს „შტურმის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის შედეგად.

⁴¹ 07.12.15 წლის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი #1.

⁴² 2015 წლის 1 დეკემბერს შპს „ქოულ გრუპის“ მიერ გამოგზავნილი წერილი.

⁴³ მ/ზ. აქტი #2740718- 8.12.15წ. ა/ფ#ეა-04 7446507 08.12.15წ.

⁴⁴ #5006632415. 21.12.2015წ.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 8 დეკემბერს შემოსავალში აღებული საქონლის ⁴⁵ ღირებულება მიმწოდებლისთვის გადარიცხულია 24 და 28 დეკემბერს, შესაბამისად 27.8 ათასი ლარი (ხელთათმანის ღირებულება) და 42 ათასი ლარი (ქუდების ღირებულება). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია საქონლის მიღება ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენამდე, რაც წინააღმდეგობაშია ამავე ხელშეკრულების 5.2 პუნქტთან, რის მიხედვითაც მიწოდებული საქონლის ხარისხზე შემოწმება/კონტროლი (ლაბორატორიული კვლევა ან უფლებამოსილი სპეციალისტის/ექსპერტის დასკვნა) ტარდება მიღება-ჩაბარების დროს (და არა მისი გაფორმების შემდგომ). ამავე ხელშეკრულების 6.3 პუნქტის თანახმად კი, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ექსპერტიზის დადებითი დასკვნიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. ხელშეკრულებაში ცვლილება განხორციელებულია 2015 წლის 24 დეკემბერს (საქონლის ანაზღაურების ნაწილში), რაც ითვალისწინებდა ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნამდე ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენას. ამ შემთხვევაშიც, ფაქტობრივი მდგომარეობით ვერ საბუთდება გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენება.

ზემოაღნიშნული ტენდერის (SPA150012440) ფარგლებში, სადაც მონაწილეობას იღებდა შპს „ქოულ გრუპი“, ყველაზე მაღალი სატენდერო წინადადების ფასით - შალის ქუდის ერთეულის სახელშეკრულებო ფასი შეადგენდა 9 ლარს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასი კი - 12 ლარს, ხოლო ხელთათმანის შემთხვევაში შესაბამისად - 7 და 8 ლარს. შედეგად, ტენდერისა და გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე შეძენილ 3500 ერთეული ქუდისა და ხელთათმანის საერთო ღირებულებებს შორის სხვაობა შეადგენს 14 ათას ლარს.

- 2015 წლის 21 ივლისს, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, შპს „მოდელების სახლი მატერიალთან“ გაფორმებულ იქნა #4/3-233 ხელშეკრულება, 2800 ერთეული პოლოს მაისურის და 2800 კომპლექტი ზამთრის ფორმების შეძენაზე ⁴⁶ ღირებულებით 504.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 31 დეკემბერი. 2015 წლის 15 ივლისს, შს მინისტრისთვის დაწესებულების ხელმძღვანელის სახელით გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ მოსამსახურეთა ფორმა-ტანსაცმლით უზრუნველსაყოფად საჭიროა მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში მიწოდებულ იქნას ზემოაღნიშნული ოდენობის საქონელი ⁴⁷. აღნიშნული ხელშეკრულებით კი ზამთრის ფორმების მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღე (2015 წლის 18 ოქტომბერი). ზამთრის ფორმების მიწოდება დაიწყო 2015 წლის 16 ოქტომბრიდან, სულ ოქტომბერში მიღებულია 1002 ერთეული ზამთრის ფორმა (36%), ხოლო დანარჩენი 1798

⁴⁵ ხელთათმანი შალის 3478 ცალი, შალის ქუდი 3482 ცალი. ა/ფ#ეა-04 7446507 08.12.15წ. მ.ჩ.ა.#2740718 08.12.15წ.

⁴⁶ შესყიდვის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს შსს მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის #1001 ბრძანებაში 2015 წლის 17 ივნისს შესული ცვლილება, რომლის მიხედვითაც დაკორექტირდა ზამთრის ფორმის ტექნიკური მახასიათებლები და მოსამსახურეთა ფორმა-ტანსაცმელს დაემატა პოლოს მაისურები.

⁴⁷ ნებართვაზე თანხმობა, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე შესყიდვის გამარტივებული ფორმით განხორციელების თაობაზე, სამინისტროდან მიღებულია 2015 წლის 17 ივლისს.

ერთეული (64%) - ნოემბრის თვეში⁴⁸. საქონლის ფაქტიური მიღება ვერ ასაბუთებს გადაუდებელი მოტივით მის შესყიდვას. 2015 წლის 31 აგვისტოს ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებით, მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის წინასწარი ანგარიშსწორების ფორმაზე შესაბამისი საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენიდან 10 კალენდარულ დღეში. ამასთან, საავანსო გარანტიის მოქმედების ვადა 1 თვით მეტი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე. ფაქტობრივად, ავანსი გადახდილია 476.0 ათასი ლარის ოდენობით, რაზედაც წარმოდგენილია გარანტია, თუმცა გარანტიის მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2015 წლის 30 ნოემბერი.

- 2014 წლის 15 აპრილს, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, ექსპლუატაციაში მყოფი საფრენი აპარატებისათვის საცხებ-საპოხი მასალის შესყიდვის მიზნით, შპს „მეგი და კომპანიასთან“ გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება #4/3-117 ღირებულებით 47.4 ათასი ლარი (გადახდილი თანხა-47,271 ათასი). ანალოგიური საჭიროებისთვის, კვლავ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, 2015 წელს იგივე კომპანიასთან გაფორმებულ იქნა 2 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 58.8 ათასი ლარი (მიუხედავად იმისა, რომ წინა წელს საქონლის მიწოდება დააგვიანა 26 კალენდარული დღით) და შპს „ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანიასთან“ ღირებულებით-40,89 ათასი ლარი. სასაზღვრო პოლიციის მიერ საფრენი აპარატებისათვის საცხებ-საპოხი მასალის საჭიროების განსაზღვრა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო დაგეგმვის ეტაპზეც. გადაუდებელი აუცილებლობის მოტივი დაუსაბუთებელია.

- 2014 წლის 19 დეკემბერს, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, კაპიუშონიანი ქურთუკების შესყიდვის მიზნით, შპს „მოდელების სახლი მატერიასთან“ გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება #4/3-378 ღირებულებით 231 ათასი ლარი (საქონელი მიწოდებულია 17 დღის დაგვიანებით, რისთვისაც ბიუჯეტში გადახდილია 2,226.75 ლარი). გადაუდებელი აუცილებლობის ფორმით შესყიდვის მიზეზად სახელდება 2014 წლის 26 აგვისტოს გამოცხადებული ტენდერის (SPA140020104) უარყოფითი შედეგით დასრულება.

2014 წლის 20 ნოემბერს, სასაზღვრო პოლიცია უარყოფითი შედეგით დასრულებულ ტენდერში მონაწილე სამივე პრეტენდენტისთვის გაგზავნილი წერილით აცხობინებს მათ გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამარტივებული შესყიდვის მეთოდით აღნიშნული ფასეულობების შესყიდვისა და 2 სამუშაო დღეში შესაბამისი ნიმუშების წარმოდგენის თაობაზე. სასაზღვრო პოლიცია, 2014 წლის 27 ნოემბრის სამსახურებრივი ბარათით⁴⁹, აცხობინებს შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტს მოახლოებული ზამთრის პერიოდის გათვალისწინებით ნოემბრის თვეში აღნიშნული ფასეულობების საჭიროების თაობაზე და ითხოვს სამინისტროდან ნებართვას

⁴⁸ მიწოდების დაგვიანებისთვის შპს „მოდელების სახლი მატერია“ დაჯარიმებულია და გადახდილია ბიუჯეტში 8.2 ათასი ლარი.

⁴⁹ სასაზღვრო პოლიციის უფროსის სამსახურებრივი ბარათი - MIA 41402404950.

გამარტივებული შესყიდვის მეთოდით შპს „მოდელების სახლი მატერიასთან“ ხელშეკრულების გაფორმებაზე. 2014 წლის 3 დეკემბერს, სასაზღვრო პოლიცია ისევ მიმართავს სამსახურებრივი ბარათით⁵⁰ სამინისტროს იმის თაობაზე, რომ თუ შპს „მოდელების სახლი მატერიასთან“ გაფორმდებოდა ხელშეკრულება, იგი განახორციელებდა ფასის კლებას და ითხოვს მიწოდებული საქონლის ანაზღაურებას 2015 წლის ასიგნებებიდან. ზემოაღნიშნული სამსახურებრივი ბარათების 2014 წლის 4 დეკემბრის საპასუხო შეტყობინებით ირკვევა, რომ სამინისტრო თანახმაა სასაზღვრო პოლიციამ განახორციელოს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვა და აღნიშნული საკითხი შეათანხმოს კურატორ შს მინისტრის მოადგილესთან.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილია 207.9 ათასი ლარის ღირებულების 2700 ერთეული ქურთუკი (მწვანე), რომელიც შემოსავალში აღებულია 2015 წლის იანვარში, საიდანაც 171 ერთეული (13.1 ათასი ლარის ღირებულების) 2016 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, კვლავ ირიცხება საწყობში ნაშთად. ამ შემთხვევაშიც, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივი დაუსაბუთებელია.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

9. ბიუჯეტში გადასახდელი საურავები

2014-2015 წლებში, სასაზღვრო პოლიციასა და სხვადასხვა მიმწოდებლებს შორის, სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით - საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის გამო გადასახდელი საურავების ჯამური ღირებულება შეადგენდა : 9 204 600 ლარს. დაკისრებული საურავები აუდიტის მიმდინარეობისას მიმწოდებლების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი არ ყოფილა. აღნიშნულთან დაკავშირებით რიგი მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაცემულია იურიდიული სამსახურისთვის. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აუდიტის ობიექტი ბიუჯეტში გადაუხდელი თანხების ბუღალტრულად ასახვას⁵¹ არ აწარმოებდა, რის შედეგადაც ბალანსში აქტივები (სხვა მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები) წარმოდგენილია ნაკლები ოდენობით.

10. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის #422 განკარგულებით დაწესებული შეზღუდვების შეუსრულებლობა

„საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის #422 განკარგულებით, საბიუჯეტო

⁵⁰ MIA 71402449666.

⁵¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად - „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“ ანგარიში #1354. (2015 წლამდე - 2007 წლის 28 დეკემბრის #1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად).

ორგანიზაციებს 2015 წლის გასაწევ ხარჯებთან მიმართებით დაუწესდათ გარკვეული სახის შეზღუდვები წინა საბიუჯეტო წელთან შედარებით. კერძოდ, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ 2015 წელს მოხმარებული საწვავის ხარჯები 2014 წლის საკასო ხარჯთან შედარებით უნდა შემცირებულიყო არანაკლებ 30%-ით. აღნიშნული ხარჯი, დაწესებულების მიერ 2015 წლის განმავლობაში შემცირებულია მხოლოდ 238.7 (4.6%) ათასი ლარით.

დაწესებულების მიერ საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯის დინამიკა წლების მიხედვით:

საკასოხარჯი	2012წ	2013წ	2014წ	ათას ლარებში 2015წ
საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	3,871.98	3,543.11	5,736.40	5,497.72

პასუხისმგებელი პირების წერილობითი განმარტების თანახმად, წლების მიხედვით საწვავ/საპოხი მასალების (ასევე შეკეთებისა და სათადარიგო ნაწილების) შეძენის ხარჯის მკვეთრი ზრდა გამოწვეულია სასაზღვრო პოლიციის ავტოპარკის სიძველით⁵² და იმ რელიეფური პირობებით, რომელშიც ავტოტრანსპორტი გადაადგილდება. გარდა ამისა, აღნიშნული ხარჯების ზრდა განაპირობა თავდაცვის სამინისტროდან ექვსი საფრენი აპარტის გადმოცემამ.⁵³

აღნიშნული განკარგულებით ასევე მოითხოვებოდა რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული შესყიდვის ხარჯების მაქსიმალურად შეზღუდვა. დაწესებულების მიერ აღნიშნული კატეგორიით 2015 წელს გაწეული საკასო ხარჯი კი - 745.8 ათასი ლარით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

11. უცხოურ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები




2013 წლის 26 აპრილიდან სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურულ ერთეულებს დაემატა სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველო⁵⁴. ამ პერიოდისთვის თავდაცვის სამინისტროდან გადმოცემული ექვსი საფრენი აპარტიდან არცერთი არ იმყოფებოდა გამართულ მდგომარეობაში. 2013 წლის 9 სექტემბრიდან განხორციელდა სასაზღვრო პოლიციის აპარატის ბალანსზე რიცხული საფრენი აპარატების სტანდარტული კაპიტალური რემონტი, მოდერნიზაცია, სისტემების ტექნიკური მდგომარეობის შეფასების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები და სატრენინგო მომსახურებების შესყიდვები. გარდა

⁵² ავტოპარკის ძირითადი ნაწილი შედგება 2007-2009 წლებში გამოშვებული ტრანსპორტისაგან.

⁵³ 2013 წლის 26 აპრილიდან.

⁵⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 26 აპრილის #320 ბრძანება - „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულების დამტკიცების შესახებ“ „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 21 ივნისის #786 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ამისა, განხორციელდა MRTP33 ტიპის მცურავი საშუალების-P-24 „სოხუმის“ შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები. სულ აღნიშნულ სამუშაოებსა და მომსახურებებზე 2014-2015 წლებში გაწეულია 5,455.37 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

აუდიტორების ხელმოწერები	თარიღი	ხელმოწერა
მანანა დავითური მთავარი აუდიტორი		
ზოია შიშინაშვილი აუდიტორი		
ლევან შუბითიძე აუდიტორი		
თამარ ბურჯანაძე აუდიტორ-ასისტენტი		